ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკანცელარიო საქონლის შესყიდვის
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ბათუმი

2017 წელი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

1.1 შესასყიდი ობიექტის ტექნიკური მაჩვენებლები:

1.1.1 საქოლნის მიწოდების ზუსტი დასახელება განისაზღვრება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.

1.1.2 პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს წარმომადგენლობა (მაღაზია, სერვისცენტრი ან რაიმე სხვა სახის დაწესებულება, რომელშიც შემსყიდველს შეეძლება სახელწიფო შესყიდვების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საქოლნის მიღება ან სხვა რაიმე საკითხის გარკვევა) ქ. ბათუმში.

1.1.3 მისაწოდებელი საქონელი უნდა იყოს ახალი, ორიგინალი;

1.1.4 შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს წუნდებული საქონლის შეცვლა არაუგვიანეს არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში, მათ შორის საქოლნის ტრანსპორტებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

1.1.5 საქოლნის კონკრეტული სახეობა, რაოდენობა და მათი ფასი განისაზღვრება მიღება–ჩაბარების აქტითა და მიმწოდებლის მიერ წარმნოდგენილი სასაქოლნო ზედნადებით (ანგარიშფაქტურით).

1.1.6 ჩამოთვლილთაგან რომელიმე საქოლნის მიწოდების რაოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს, მათ შორის გამოუყენებელი საქოლნის მიწოდების ღირებულების ხარჯზე ფასების ცხრილში დაფიქსირებული ერთეულის ფასის და ჯამური ფასის ფარგლებში.

1.1.7 შემსყიდველი არ არის ვალდებული სატენდერო დოკუმენტაციით მითითებული საქოლნის დასახელებების რაოდენობების შესყიდვა განახორციელოს სრული რაოდენობით და შესაძლებელი უნდა იყოს შემსყიდველთან გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გარკვეული რაოდენობების მოკლება და დამატება სხვადახვა პოზიციებიდან სხვადასხვა პოზიციებზე.

2 ხელშეკრულების აუცილებელი პირობები

2.1 საქოლნის მიწოდების მიწოდების ადგილი და ვადები:

2.1.1 საქოლნის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. ბათუმში, ეტაპობრივად. ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

2.1.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მისამართზე (ქ. ბათუმი ლუკა ასათიანის ქუჩა #25), კერძოდ მიმწოდებელი ვალდებულია ახალი საქონელი შემსყიდველს მიაწოდოს შემსყიდველის ზემოაღნიშნულ მისამართზე მიმწოდებლის მაღაზიიდან (საწყობიდან) შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშო დღის ვადაში.

2.2 ანგარიშსწორების პირობები:

2.2.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.2.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

2.2.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.2.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად შესაბამისი საქოლნის მიწოდების შემდეგ, მისი საბოლოო შემოწმების, მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების (დღგ-ს ანგარიშფაქტურის). წარმოდგენის საფუძველზე 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2.5 თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

2.3 პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

2.3.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 0.2 %-ის ოდენობით.

2.3.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5% (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

2.3.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

2.3.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ამ დოკუმენტაციის 2.3.1 პუნქტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან ერთად ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% პროცენტის ოდენობით.

3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:

3.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:

ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის მე–2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

3.2ხელშეკრულების შესრულების გარანტია:

3.2.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის შემდეგ, არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვა- დაში უნდა წარმოადგინოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით ან აუდიტის დასკვნით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის საქმიანობის კანონმდებლობის ფორმით გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

3.3პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი, დანართი №1–ის მიხედვით.

3.4 ფასების ცხრილი

3.4.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი დანართი №2–ის მიხედვით.

3.4.2 პრედენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში ერთეულის ფასი მოცემული და განფასებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ის ჩათვლით.

3.4.3 თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, ერთიან ელექტრონულ სისტემაში და-ფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე, ერთეულის ფასები წარმოდგება მრა-ვალნიშნა ათწილადის სახით, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია ხელშეკრუ-ლების გაფორმების

მომენტისთვის შეამციროს ერთეულის ფასი და დაამრგვალოს მეასედებამდე. შესაბამისად, შეამციროს საერთო ფასიც.

3.5 პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების ატვირთვა სახელმ-წიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, შემდეგი თანმიმდევრობით:

- პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები; (დანართი 1)
- ფასების ცხრილი; (დანართი 2)
- ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;
- ინფორმაცია მის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული (მაღაზია, სერვისცენტრი ან რაიმე სხვა სახის დაწესებულება, მისამართის შესახებ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე.

ბ) ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსი-ლი პირის მიერ.

4. დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქუჩა №25, მე–2 სართული. საკონტაქტო პირი: რევაზ სეხნიაშვილი ტელ: +995 577 30-20-10 saorganizacio@batumicc.ge

დანართი №1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
ელექტრონული მისამართი:
ბანკის კოდი:
ანგარიშსწორების ანგარიში:
ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა:
სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყებიდან არა ნაკლებ 30 კალენდარული დღე.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

თარიღი ----------

დანართი №2

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება ----------

სატენდერო წინადადადების ფასი ----------

საქონლის დასახელება	საქოლნის მწარმოებელი, მოდელი	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა – ცალი, შეკვრა, კოლოფი		ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5		6	7	8	9

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

თარიღი ----------